



# ონის მუნიციპალიტეტის მერია

## ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 114  
31/01/2018

114-02-4-201801311058



**ონის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 28 ნოემბრის N1181 ბრძანებაში  
„ონის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გარე განათებისა და  
ქუჩების დაგვა-დასუფთავებისათვის გაწეული მომსახურების  
შემოწმების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“  
ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად ონის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გარე განათებისა და ქუჩების დაგვა-დასუფთავებისათვის გაწეული მომსახურების შემოწმების მიზნით ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ონის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 28 ნოემბრის N1181 ბრძანებაში „ონის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გარე განათებისა და ქუჩების დაგვა-დასუფთავებისათვის გაწეული მომსახურების შემოწმების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“, კერძოდ: კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს ლევან შერაზადიშვილი - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე და კომისიის მდივანად ირმა ჩიხრაძე - მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კულტურის საკითხებში, ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ლევან შერაზადიშვილი მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

ირმა ჩიხრაძე მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კულტურის საკითხებში, კომისიის მდივანი;

ფერიდე გუგეშაშვილი მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტოს სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვისა და სახაზინო მომსახურების განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სახაზინო საკითხებში, კომისიის წევრი;

ბეჟა სხიერელი

მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის გამგებლის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გამგებლის წარმომადგენლებთან ურთიერთობის საკითხებში, კომისიის წევრი;

2. კომისიამ ყოველ თვიურად მონიტორინგი გაუწიოს მუნიციპალიტეტის გარე განათებისა და ქუჩების დაგვა-დასუფთავებისათვის გაწეული მომსახურების მიმდინარეობას და შეადგინოს სათანადო აქტი;
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13) ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად;

მერაბ ორდინიძე



მუნიციპალიტეტის მერიის მოვალეობის შემსრულებელი